ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №377896

ნომერი: AR180102

თარიღი : 13.09.2012

გაცემის თარიღი : 04.10.2012

გაცნობის თარიღი : 04.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , კინოსტუდიის მოპირდაპირედ , ნაკვეთი 08/113 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , კინოსტუდიის მოპირდაპირედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გიორგაძე პ/ნ 01026002098
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 29 ბ. 44

ორგანიზაცია:
- არკოდი კოდი: 204390738

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის#პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულგეგმარებითდავალებაშიცვლილებისადადამატებისშეტანისთაობაზე

2012 წლის 13 სექტემბერს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR180102 განაცხადით მომართა შპს „ჰოტელ კრუიზი“–ს მინდობილმა პირმა ვალერი გიორგაძემ და მოითხოვა #პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში ცვლილების განხორციელება, საკადასტრო მონაცემების და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე, კინოსტუდიის მოპირდაპირედ მრავალფუნქციური კომპ;ექსის ასაშენებლად გაიცა #პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულ გეგმარებით დავალება. დღეისათვის ზემოაღნიშნული ობიექტი მშენებარე, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე დგინდება, რომ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგნილების 99–ე მუხლი განმარტავს, რომ ვინაიდან, აქტი გაცემულია 2005 წელს მასზე ვრცელდება იმ დროისათვის მოქმედი კანონდებლობა, კერძოდ: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მოთხოვნები,რომელთა თანახმადაც არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში უნდა აისახოს ყველა ის ცვლილება რაც განიცადა საპროექტო მიწის ნაკვეთმა.

შესაბამისად, ვინაიდან, საპროექტო ობიექტი მშენებარეა, შეცვლილია მისი საკადასტრო კოდი და მესაკუთრე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99 მუხლის და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების თანახმად

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში, კერძოდ: დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ჰოტელ კრუიზი;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგემარების საქალაქო სამსახურის #პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულ გეგმარებით დავალებაში, კერძოდ: ა) დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი მიეთითოს #01.13.02.008.116 ფართობი: 3498.00 კვ.მ; ბ)დაემატოს შენიშვნა: „გათვალისწინებული იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება (საჯარო რეესტრის ამონაწერის რეგისტრაციის №882012687168 რეგისტრაციის თარიღი 10/09/2012 წ. საკადასტრო კოდი #01.13.02.008.116);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #პრ/698 04.10.2005წ. არქიტექტურულ გეგმარებით დავალებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.